პარიზის კომუნიკე

პრეამბულია/შესავალი

ჩვენ, უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები, ვხვდებით რა ერთმანეთს პარიზში 2018 წლის 24 და 25 მაისს, სორბონის დეკლარაციის ხელმოწერის მე-20 წლისთავზე, გვსურს არა მხოლოდ ვიზეიმოთ დეკლარაციის განხორციელების პროგრასი გასული ორი ათწლეულის განმავლობაში, არამედ ასევე, რომ ავიღოთ მტკიცე და ამბიციური ვალდებულება ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის შემდგომი განვითარების თაობაზე.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რასაც მივაღწიეთ ბოლონიის პროცესის მეშვეობით. ჩვენ ავაგეთ რაღაც უნიკალური: შევქმენით ევროპის უმაღლესი განათლების ერთიანი სივრცე (EHEA), რომელშიც მიზნები და პოლიტიკა შეთანხმებულია ევროპულ დონეზე და დანარგილია ეროვნული განთლების სისტემებსა და უმაღლესი განათლების ინსტიტუციებში. ესაა სივრცე, რომელშიც მთავრობები, უმაღლესი განათლების ინსტიტუციები და დაინტერესებული მხარეები ერთად ქმნიან უმაღლესი განათლების ლანდშაფტს; რომელიც დემონსტრირებას ახდენს იმისა, თუ რისი მიღწევაა შესაძლებელი მთავრობებისა და უმაღლესი განათლების სექტორების ერთობლივი ძალისხმევისა და მათ შორის უწყვეტი დიალოგის მეშვეობით. ევროპის უმაღლესი განათლების სივრცით ჩვენ შევუწყეთ ხელი ფართო მასშტაბიან სტუდენტთა მობილობას და არა მხოლოდ გავაუმჯობესეთ ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემების შედარებითობასა და გამჭვირვალობას, არამედ გავზარდეთ მათი ხარისხი და მიმზიდველობა. ევროპის უმაღლესი განათლების სივრცემ ხელი შეუწყო ურთიერთგაგებასა და ნდობას, გააუმჯობესა თანამშრომლობა უმაღლესი განათლების სისტემებს შორის.

აკადემიური თავისუფლება და ერთობა, ინსტიტუციური ავტონომიურობა, სტუდენტთა და სტაფის მონაწილეობა უმაღლესი განათლების მართვაში, საჯარო პასუხისმგებლობა უმაღლეს განათლებაზე წარმოადგენენ ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ხერხემალს. დავინახეთ რა ბოლო წლებში ჩვენს ზოგიერთ ქვეყანაში გამოწვევები ამ ფუნდამენტური ღირებულებების მიმართ, ჩვენ მტკიცედ ვკისრულობთ მათ დაცვას მთელს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის ინტენსიფიკაციის მეშვეობით. მან, ასევე, უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი იმ ფაქტების დამკვიდრებაში, რომ საჯარო დებატები წარმოებდეს და გადაწყვეტილებები მიიღებოდეს. სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის უწყვეტი ინდივიდუალური განვითარების შესაძლებლობის მიცემით, უმაღლესი განათლება გაზრდის მათი დასაქმების პერსპექტივებს და მოახდენს აქტიური მოქალაქეების სტიმულირებას დემოკრატიულ საზოგადოებებში.

ამისათვის, ჩვენ ვკისრულობთ პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების ინსტიტუციებს თავიანთი სოციალური პასუხისმგებლობის შესრულებაში და უფრო შემაკავშირებელი და ჩართული საზოგადოების ჩამოყალიბებაში წვლილის შეტანაში, კულტურათაშორისი გაგების გაზრდის, საზოგადოებრივი ჩართულობის, ეთიკური ცნობიერების ამაღლების, ისევე როგორც უმაღლესი განათლებისადმი სამართლიანი ხელმისაწვდომობის გაზრდის მეშვეობით.

პროგრესი შეთანხმებული რეფორმების დანერგვაში

როგორც ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციის 2018 წლის ანგარიში გვიჩვენებს, პროგრესი მიღწეულია, თუმცა იმპლემენტაცია რჩება არათანაბარი, როგორც პოლიტიკურ სივრცეებს, ისე ქვეყნებს შორის.

ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს გადამწყვეტს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ფარგლებში ურთიერთნდობის, მობილობის გაზრდისა და კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდების სამართლიანი აღიარებისათვის. ჩვენ ვაღიარებთ ეროვნულ და ინსტიტუციურ პრაქტიკაში "Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area" (ESG)-ის ინტეგრირებით მიღწეულ პროგრესს ჩვენი ქვეყნების უმეტესობაში და ვკისრულობთ ჩვენს ეროვნულ კანონმდებლობებსა და რეგულაციებში დარჩენილი წინააღმდეგობების ჩამოშორებას. უფრო მეტი ერთობლივი პროგრამებისა და ერთობლივი აკადემიური ხარისხების შემუშავების მიზნით ჩვენ, ასევე, დავაკანონებთ და ხელს შევუწყობთ „ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მიდგომით" ("European Approach for Quality Assurance of Joint Programmes") სარგებლობის ჩვენს უმაღლესი განათლების სისტემებში. ჩვენ, ასევე, მივესალმებით და ხელს შევუწყობთ „გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების მონაცემთა ბაზის" (DEQAR) შემუშავებას.

ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ფარგლებში მობილობისა და აღიარების შემდგომი განვითარების მიზნით, ჩვენ გავაძლიერებთ ძალისხმევას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ერთ ქვეყანაში მოპოვებული უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია ავტომატურად იქნეს იგივე საფუძველზე აღიარებული სხვა ქვეყნებშიც, რათა ხელმისაწვდომი გახდეს შემდგომი განათლება და დასაქმების ბაზარი. ამ კუთხით, ჩვენ განვაახლებთ ჩვენს ვალდებულებას ECTS-ის სრულად დანერგვის უზრუნველყოფის თაობაზე 2015 წლის „ECTS მომხმარებლების სახელმძღვანელოში" მითითებული პრაქტიკული რეკომენდაციების შესაბამისად.

ჩვენი ვიმუშავებთ რათა დავნერგოთ ლისაბონის აღიარების კონვენცია და მისი რეკომენდაციები, კერძოდ ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილის მსგავს ვითარებაში მყოფ პირთა კვალიფიკაციების აღიარების თაობაზე. ჩვენ ასევე მოვუწოდებთ კვალიფიკაციების აღიარების, ადრინდელი სწავლისა და სწავლის პერიოდების აღიარების გამჭვირვალე პროცედურების მიღებასაკენ, მხარდაჭერილს თავსებადი ციფრული გადაწყვეტილებებით.

ჩვენ მივიღეთ შემოთავაზება განახლებული დიპლომის დანართის თაობაზე და ვკისრულობთ ვალდებულებას მის დამტკიცებაზე იდენტური ვერსიებით ლისაბონის აღიარების კონვენციისა (LRC) და ევროპასის (Europass) შესაბამის ჩარჩოებში. ჩვენ კიდევ უფრო მეტად შევუწყობთ ხელს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მობილობას, მივესალმებით და დავეხმარებით ისეთ ინიციატივებს, როგორიცაა დიპლომის დანართის გაციფრულება და ვკისრულობთ უმაღლესი განათლების ინსტიტუციების დახმარებას რათა გაატარონ სტუდენტთა მონაცემების შემდგომი მიმოცვლა დაცულ, ელექტრონულად წაკითხვად და შეთავსებად ფორმატში, თანაც პერსუნალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დაცვით. ჩვენ, ასევე, ინტერესით აღვნიშნავთ მოქმედ „ევროპული სტუდენტური ბარათის" საპილოტე პროექტს, რომელიც შესაძლებელია უფრო გაფართოვდეს

წაახალისოს სტუდენტური მობილობა მთელი ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მასშტაბით.

ბევრ ჩვენს სისტემაში, ECTS-ზე დაფუძნებული მოკლე ციკლის კვალიფიკაციები თამაშობენ მზარდად მნიშვნელოვან როლს სტუდენტთა მომზადებაში დასაქმებისათვის და შემდგომი სწავლისათვის, ისევე როგორც სოციალური ერთსულოვნების გაუმჯობესების ხელმისაწვდომობის წახალისებით ბევრისათვის, ვისაც სხვაგვარად არ განიხილავს უმაღლეს განათლებას. ამიტომ, ჩვენ ვრთავთ მოკლე ციკლის კვალიფიკაციებს როგორც ცალკე მდგომ კვალიფიკაციას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ყოვლისმომცველ ჩარჩოში (QF-EHEA). თითოეული ქვეყნის უფლებაა გადაწყვიტოს მოახდინოს თუ არა და როგორ განახორციელოს მოკლე ციკლის ინტეგრაცია კვალიფიკაციების საკუთარ ეროვნულ ჩარჩოში.

EHEA-ს სრული პოტენციალის გახსნა: წინ წავწიოთ იმპლემენტაცია

ჩვენ ვაცნობიერებთ იმას, რომ ბოლონიის პროცესის მამოძრავებელი რეფორმები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მასშტაბით საჭიროებენ წარმატებულ იმპლემენტაციას და ყველა წევრი ქვეყნის მიერ ერთობლივად შეთანხმებული მიზნებისა და აქტივობების სრულად გათავისებას. ჩვენი ვალდებულებების შესრულება დამოკიდებულია და ეყრდნობა ეროვნული პოლიტიკის შემქმნელებს, საჯარო მმართველებს, ინსტიტუციებს, სტაფს, სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. ისევე, როგორც კოორდინირებას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის დონეზე.

EHEA-ს სრული პოტენციალის გახსნის, კერძოდ ბოლონიის ძირითადი ვალდებულებების სრულყოფილად დანერგვის მიზნით, ჩვენ მივიღეთ სტრუქტურირებული საექსპერტო მიმოხილვის პროცესი დაფუძნებული სოლიდარობაზე, თანამშრომლობასა და ურთიერთისაგან სწავლაზე. 2018-2020 წლებში თემატური საექსპერტო მიმოხილვის ჯგუფები ფოკუსირდებიან სამ ძირითად ვალდებულებაზე - გადამწყვეტზე ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის შიგნით ხარისხისა და თანამშრომლობის გაძლიერების საქმეში:

- QF-EHEA-სთან თავსებადი სამციკლიანი სისტემა და პირველი და მეორე ციკლის კვალიფიკაციები გაზომილი ECTS-თი;
- ლისაბონის აღიარების კონვენციასთან შესაბამისობა,
- და ESG-სთან შესაბამისობაში მყოფი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა.

ჩვენ ვავალებთ ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფს (BFUG), რომ დანერგოს, კოორდინირება და მონიტორინგი გაუწიოს მიღებულ საექსპერტო დახმარების მიდგომას და გააკეთოს ეს „ბოლონიის იმპლემენტაციის საკოორდინაციო ჯგუფის“ (BICG) შექმნით. იგი გააანალიზებს საექსპერტო დახმარების პირველ რაუნდს და ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფის მეშვეობით შემოგვთავაზებს მიმართულებას, რომლითაც უნდა წარიმართოს აქტივობები მომავალში და ანგარიში ჩაგვაბაროს მინისტრთა მომდევნო კონფერენციაზე 2020 წელს.

ჩვენ ხელს შევუწყობთ Erasmus+ პროგრამებით სარგებლობას თანამშრომლობის გაზრდისათვის მობილობის ფარგლებს გარეთ და პროგრესის მიღწევაში ძირითად ვალდებულებებზე.

ბელორუსი შეუერთდა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეს 2015 წელს შეთანხმებული საგზაო რუქის საფუძველზე. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ გარკვეული პირველი რეფორმები ინიციირებულ იქნა, თუმცა არსებითი გამოწვევები ჯერ კიდევ რჩება. ჩვენ მივესალმებით ბელორუსის ვალდებულებას იმუშაოს პარტნიორებთან და მიიღოს მათგან დახმარება შეთავაზებული 2018-2020 წლების სტრატეგიის დასანერგად.

ინოვაცია სწავლებასა და სწავლაში

გასული 20 წლის განმავლობაში, ბოლონიის პროცესის ძირითადი მისია და სტრუქტურული რეფორმების მთავარი ამოცანა იყო სწავლებისა და სწავლის ხარისხისა და შესაბამისობის უზრუნველყოფა და გაუმჯობესება. უწყვეტი განათლება მზარდად მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებებისა და ეკონომიკებისათვის, ისევე როგორც ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობისათვის. ახლა დროა, რომ დავამატოთ ინოვაციურ სწავლებასა და სწავლაში თანამშრომლობის პრაქტიკა - როგორც ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კიდევ ერთი სამარკო ნიშანი. ამისათვის, ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას რომ შევიმუშავოთ ახალი და ინკლუზიური მიდგომა სწავლებისა და სწავლის უწყვეტი სრულყოფისა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მასშტაბით, და მივაღწევთ წარმატებას მხოლოდ მაშინ, თუ მოვახდენთ ამას ევროპის უმაღლესი განათლების საზოგადიებასთან მჭიდრო თანამშრომლობით, აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიურობის სრული პატივისცემით.

ევროპის სწავლებისა და სწავლის ფორუმის წარმატება, წამოწყებული ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის მიერ გასულ წელს, ახდენს თანამშრომლობის ღირებულებისა და პოტენციალის დემონსტრირებას სწავლებასა და სწავლაში, საგრძნობი სარგებლით უმაღლესი განათლების ინსტიტუციების, სტაფისა და სტუდენტებისათვის. ამიტომ, ეროვნულ დონეზე მიღებულ ზომებთან დამატებით, ჩვენ განვავითარებთ ერთობლივ ევროპულ ინიციატივებს ინოვაციური სწავლებისა და სწავლის ფართო პრაქტიკის დახმარებისა და სტიმულირებისათვის, დაშენებულს ჩვენს ქვეყნებსა და მათ ფარგლებს გარეთ არსებულ კარგ პრაქტიკაზე.

ეს გადაწვდება სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლის შემდგომ განვითარებასა და სრულ იმპლემენტაციას და ღია განათლების უწყვეტობის კონტექსტში. სასწავლო პროგრამებს, რომლებიც სთავაზობენ მრავალფეროვან სწავლების მეთოდებს და მოქნილ სწავლას, შეუძლიათ ხელი შეუწყონ სოციალურ მობილობას და უწყვეთ პროფესიულ ზრდას, თანაც აძლევენ სწავლის მსურველებს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და დასრულების შესაძლებლობას მათი ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე.

ჩვენ დავეხმარებით უმაღლესი განათლების ინსტიტუციებს სწავლებისა და სწავლის სტრატეგიების შემუშავებასა და სრულყოფაში. ჩვენ, ასევე, წავახალისებთ მათ, რომ შესთავაზონ სტუდენტებს დისციპლინათაშორისი პროგრამები, ისევე როგორც სწავლისა და მუშაობის კომბინაციები. სტუდენტებმა უნდა გაეცნონ კვლევას ან კვლევასთან და ინოვაციებთან დაკავშირებულ აქტივობებს უმაღლესი განათლების ყველა დონეზე რათა განავითარონ კრიტიკული და კრეატიული აზროვნება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ მოიძიონ ახალი გადაწყვეტილებები წამოჭრილი გამოწვევების მოსაგვარებლად. ამ კუთხით, ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას რომ გავაუმლობესოთ სინერგია განათლებას, კვლევასა და ინოვაციას შორის.

დიჯიტალიზაცია თამაშობს მნიშვნელოვან როლს საზოგადოების ყველა სფეროში და ჩვენ ვაღიარებთ მის პოტენციალს გარდაქმნაში თუ როგორ მიეწოდება უმაღლესი განათლება და როგორ სწავლობს ხალხი მათი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს უმაღლესი განათლების ინსტიტუციებს რომ მოამზადონ თავიანთი სტუდენტები და დაემარონ თავიანთ მასწავლებლებს რომ იმოქმედონ კრეატიულად ციფრულ გარემოში. ჩვენ უფლებას მივცემთ ჩვენს განათლების სისტემებს რომ უკეთ გამოიყენონ ციფრული და შერეული განათლება, სათანადო ხარისხის უზრუნველყოფით, რომ გაუმჯობესონ უწყვეტი და მოქნილი სწავლა, მიხედონ ციფრულ უნარებსა და კომპეტენციებს, სრულყონ მონაცემთა ანალიზი, საგანმანათლებლო კვლევა და შორსმჭვრეტელობა, და ჩამოიშორონ მარეგულირებელი წინააღმდეგობები გახსნილი და ციფრული განათლების მიწოდებაზე. ჩვენ მოვუწოდებთ ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფს დიჯიტალიზაციის საკითხი გაითვალისწინოს მომდევნო სამუშაო პერიოდში.

ვინაიდან მაღალი ხარისხის განათლების მისაღწევად მაღალი ხარისხის სწავლებაა არსებითი, აკადემიურო კარიერის პროგრესია უნდა შენდებოდეს წარმატებულ კვლევასა და ხარისხიან სწავლებაზე. იგი, ასევე, უნდა ითვალისწინებდეს უფრო ფართო წვლილს საზოგადებისადმი.

ჩვენ ხელს შევუწყობთ და დავეხმარებით ინსტიტუციურ, ეროვნულ და ევროპულ ინიციატივებს პედაგოგთა ტრენინგის, უმაღლესი განათლების მასწავლებლების უწყვეტ პროფესიული განვითარების ინიციატივებს და გამოვნახავთ გზებს მაღალი ხარისხისს და ინოვაციური სწავლების უკეთ აღიარებისათვის მათ კარიერაში.

2020 წლის შემდეგ: უფრო ამბიციური ევროპის უმაღლისი განათლების სივრცე

ევროპის უმაღლისი განათლების სივრცემ დაამტკიცა მისი, როგორც უმაღლეს განათლებაში თანამშრომლობის უნიკალური ჩარჩოს როლი ევროპაში. მისი შემდგომი განვითარებისათვის ცენ გავააქტიურებთ საზღვრებს მიღმა თანამშრომლობას, ისევე როგორც ინკლუზიურ და ინოვაციურ მიდგომას სწავლისა და სწავლებისადმი. ჩვენ მოუწოდებთ ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფს, რომ წარმოადგინოს წინადადება ჩვენს 2020 წლის შეხვედრაზე იმის თაობაზე, რომ შესაძლებლობა მიეცეს უმაღლეს განათლებას სრულად ითამაშოს თავისი როლი ჩვენი საზოგადოებების წინაშ მდგომი გამოწვევების გადასალახად.

ჩვენ ხელს შევუწყობთ და გავაფართოვებთ ინტეგრირებულ ტრანსნაციონალურ თანამშრომლობას უმაღლეს განათლებაში, კვლევასა და ინოვაციებში, სტაფის, სტუდენტებისა და მკვლევარების მზარდ მობილობას და უფრო მეტ ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებს მთელი ევროპის უმაღლისი განათლების სივრცის მასშტაბით. ჩვენ ინტერესით ვითვალისწინებთ ვროკავშირის ბოლოდროინდელ ინიციატივას „ევროპული უნივერსიტეტების“ შექმნის თაობაზე და ჩვენ წავახალისებთ ყველა ჩვენს უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციას რომ იმუშაოს ასეთ ახალ პარამეტრებში. ჩვენ მოვუწოდებთ ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფს დიალოგის დაწყებისაკენ ევროპის კვლევის სფეროს კომიტეტთან (ERAC) 2020 წლამდე რათა შემუშავდეს სყრუქტურული თანამშრომლობა ევროპის უმაღლისი განათლების სივრცესა და ევროპის კვლევით სივრცეს (ERA) შორის.

ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას ჩვენი პლანეტისა და საზოგადოებისათვის მდგრადი მომავლის უზრუნველყოფაში უმაღლესი განათლების როლის შემუშავებაზე და იმ გზების გამონახვაში, რომლითაც ჩვენ, ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მინისტრები, შევძლებთ წვლილის შეტანას გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას ევროპულ და ეროვნულ დონეებზე.

როგორც ბოლონიის პოლიტიკური ფორუმის შედეგი, ჩვენ ვავალებთ ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფს რომ დაიწყოს გლობალური პოლიტიკური დიალოგი რეგულარული თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად სხვა რეგიონებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ეს დიალოგი უნდა ფოკუსირდეს ერთმანეთისაგან სწავლასა და ერთობლივ ინიციატივებზე საერთო ინტერესების მქონე საკითხებზე, როგორებიცაა - სოციალური ჩართულობა და უმაღლესი განათლების უფრო ფართო როლი. ჩვენ მივესალმებით UNESCO-ს გლობალურ კონვეციაზე მუშაობას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარების საკითხზე.

ჩვენ ვაღიარებთ, რომ შემდგომი ძალისხმევაა საჭირო უმაღლესი განათლების სოციალური ასპექტების განსამტკიცებლად. ჩვენი ვალდებულებების გათვალისწინებით იმის თაობაზე, რომ სტუდენტთა მასა, რომელიც იწყებს სწავლასა და იღებს განათლებას ევროპის უმაღლესი განათლების ინსტიტუციებში უნდა ასახავდეს ევროპის მოსახლეობის მრავალფეროვნებას, ჩვენ გავაუმჯობესებთ ნაკლებად წარმოდგენილი და დაუცველი ჯგუფების მიღებასა და სწავლის დასრულებას. ამიტომ, ჩვენ ვავალებთ ბოლონიის სამეთვაყურეო ჯგუფს რომ აიღოს ეს საკითხი კონტროლზე მომავალი მინისტრთა კონფერენციისათის.

მინისტრთა 2020 წლის კონფერენციის მზადება

ჩვენი 2020 წლის კონფერენციისათვის ჩვენ ვავალებთ ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფს „ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციის ანგარიშის“ მომზადებას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ბოლონიის პროცესის დაწყებიდან ძირითადი პროცესების შეფასებით, მათ შორის თუ რა დონემდე მივაღწიეთ ჩვენ მობილობის მიზანს, განსაზღვრულს ლეუვენ/ლოუვეინ ნეუვეს კონფერენციაზე 2009 წლის.

ჩვენ, ასევე, ვთხოვთ ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფს, მჭიდრო თანამშრომლობით უმაღლესი განათლების ინსტიტუციებთან, სტაფთან და სტუდენტებთან, წარმოადგინოს წინადადებები შემდეგი ათწლეულისათვის, ასევე, ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მმართველობის თაობაზე.

ჩვენ მადლიერებით ვიღებთ იტალიის შემოთავაზებას შემდეგი 2020 წლის მინისტრთა კონფერენციისა და ბოლონიის პოლიტიკური ფორუმის მასპინძლობის თაობაზე.

დანართები :

მიღებული ზომები:

- სტრუქტურირებული ექსპერტიზაზე დაფუძნებული დახმარება ბოლონიის ძირითადი ვალდებულებების იმპლემენტაციაში
- ბელარუსის სტრატეგია 2018-2020
- მოკლე ციკლის კვალიფიკაციები, როგორც ცალკე მდგომი კვალიფიკაციის დონე ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ყოვლისმომცველ კვალიფიკაციების ჩარჩოში (QF-EHEA)
- შეცვლილი დიპლომის დანართი, რეკომენდაციებით მის დამტკიცებაზე, ლისაბონის აღიარების კონვენციისა (LRC) და ევროპასის (Europass) შესაბამისი ჩარჩოების იდენტური ფორმით.